კოდიციფირებული ვერსია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 6 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 ივნისის N4 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს N2 სხდომის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 1.გავრცელების სფერო

1.1. ეს წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ პერსონალზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და არეგულირებს მათი საქმიანობის შეფასების სისტემას.

მუხლი 2. შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზანი

2.1. შესრულებული სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით განისაზღვროს აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის საქმიანობაში ინდივიდუალურად შეტანილი წვლილი, სწავლებისა და კვლევის პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მუდმივი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, სამუშაოს შეფასების მიზანია, განხორციელდეს:

- უნივერსიტეტის სტრატეგიულ ამოცანებთან - მისიასა და ხედვასთან პროფესორების საქმიანობის მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფა, საერთო მიზნების ეფექტურად მიღწევის თვალსაზრისით;
- ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- თანამშრომლისათვის, მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ არსებული მოლოდინების სიცხადე;
- თანამშრომლებთან კომუნიკაცია;
- საქმიანობით კმაყოფილების ზრდა და მოტივაციის გაუმჯობესება;

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სფეროები

3.1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ორ ძირითად სფეროს წარმოადგენს: **ა) სწავლება ბ) კვლევა;**

3.2. აკადემიური პერსონალი ჩართული უნდა იყოს როგორც სწავლების ასევე კვლევით პროცესებში.

3.3. აკადემიური პერსონალი ასევე შეიძლება იყოს ჩართული „სოციალური იმპაქტის“ აქტივობებში, რომელსაც წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საჯარო პოლიტიკის, მომსახურების, ჯანდაცვის, გარემოსდაცვის სფეროს გაუმჯობესებაში ან საზოგადოების ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში აკადემიის გარეთ (Research Excellence Framework).

მუხლი 4. სწავლების შეფასების კრიტერიუმები

4.1. სწავლება მოიცავს აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტების განხორციელებას და უზრუნველყოფას.

4.2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ვალდებულია ჩაატაროს კვირაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების წესის“ მიხედვით დადგენილი აკადემიური საათების რაოდენობა ამ მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ რამოდენიმე კომპონენტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში რაიმე სხვა ვალდებულებაა განსაზღვრული.(ცვლილება 29.12.2023)

4.3. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ პერსონალს უკავია უნივერსიტეტში ამავდროულად ადმინისტრაციული თანამდებობა, სწავლების კომპონენტში მინიმალური ქულის მისაღებად ის ვალდებულია ჩაატაროს კვირაში არანაკლებ 4 საათისა.(ცვლილება 29.12.2023)

მუხლი 5. კვლევის შეფასების კრიტერიუმებია:

5.1. პუბლიკაცია *:

ა) სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში**;

ბ) სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;

გ) სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში;

დ) მონოგრაფია/წიგნი;

ე) თავი წიგნში/კრებულში (საერთაშორისო გამოცემა);

ვ) თავი წიგნში/კრებულში (ადგილობრივი გამოცემა);

ზ) საერთაშორისო ბაზებში*** შემავალი კონფერენციის მასალები;

თ) კონფერენციის მასალები;

ი) სახელმძღვანელო;

კ) პროფესიული პუბლიკაცია ****;

5.2. გრანტი;

5.3. საერთაშორისო კოლაბორაციის წევრობა;

5.4. ჯილდო;

5.5. პატენტი;

5.6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

5.7. შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი; ექსპედიცია; გამოფენა; დიზაინი; საჯარო შესრულება (მუსიკის მიმართულებისთვის); პროგრამული უზრუნველყოფა;

5. 8. ცოდნის ტრანსფერი:

ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

ბ) სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

გ) საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;

დ) ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;

ე) რეცენზირება საერთაშორუსო პუბლიკაციებისთვის;

6. სოციალური იმპაქტის შესაფასებელი კრიტერიუმებია:

ა)საჯარო ლექციები/ბლოგები სხვადასხვა მედია საშუალებაში;

ბ)საზაფხულო სკოლების ორგანიზება; გ)საერთაშორისო
კონფერენციების ორგანიზება;

დ) სასერტიფიკატო პროგრამების/ტრენინგ კურსების შექმნა, განხორციელება (LLL);

** ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ აფილიაციაში მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევითი შედეგების შეფასების მიზნებისთვის.*

*** სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). საბუნებისმეტყველო, ზუსტი, საინჟინრო და მედიცინის მიმართულებისთვის სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Thomson Reuters Web of Science-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან Scopus - ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე ჟურნალში.*

**** Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue*

***** პუბლიკაცია, რომელიც არ ითვალისწინებს რეცენზირებას, განკუთვნილია პროფესიული აოდიტორიისთვის და წარმოადგენს ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშს ან მის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზას. ასეთი პუბლიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრლობის საფუძველზე შექმნილ პროდუქტს.*

მუხლი 7. აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების მეთოდი

7.1. პროფესორის საქმიანობა სწავლებასა და კვლევაში შეფასდება მინიმუმ ორასი ქულით, რომელიც უნდა იყოს დაგროვებული მე-5 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. (ცვლილება 20.08.2021წ.)

7.2. მე-5 მუხლით განსაზღვრულ სწავლების და კვლევის შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება დგინდება და რეგულირდება ინდივიდუალურად ფაკულტეტები/სკოლების მიერ. ასევე, დასაშვებია ფაკულტეტების/სკოლების მიერ შესაფასებელი კრიტერიუმების რაოდენობის გაზრდა სწავლებისა და კვლევის კომპონენტში.

7.3. სწავლებაში მინიმალურ ქულათა რაოდენობაა 40 % (80 ქულა), ხოლო კვლევაში - 30 % (60 ქულა). სოციალური იმპაქტით განსაზღვრული საქმიანობა არ წარმოადგენს პროფესორის სავალდებულო საქმიანობის სფეროს. ეს აქტივობა შეიძლება შეადგენდეს საერთო შეფასების მაქსიმუმ 10 % (20 ქულა). (ცვლილება 20.08.2021წ.)

7.4. სწავლებაში მინიმალურ ქულათა რაოდენობა - 40 % (80 ქულა) განისაზღვრება კვირაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების წესის“ მიხედვით დადგენილი აკადემიური საათების რაოდენობის ან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შეთანხმებით შესაბამისი ოდენობის დატვირთვის პირობებში, ხოლო იმ აკადემიური პერსონალისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში უკავიათ ადმინისტრაციული თანამდებობა- 4 საათის პირობებში. (ცვლილება 29.12.2023)

7.5. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის დატვირთვა აჭარბებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სავალდებულო აკადემიურ საათებს (80 ქულას) მისი შეფასება სწავლების სფეროში განისაზღვრება ფაკულტეტის/სკოლის მიერ სწავლების კრიტერიუმებისთვის მინიჭებული ქულების გათვალისწინებით.(ცვლილება 29.12.2023)

7.6. კვლევითი საქმიანობის შეფასებისას, სავალდებულოა მინიმუმ 60 ქულის დაგროვება, რომელიც პროფესორმა შესაძლოა მოიპოვოს მე-5 მუხლში განასზღვრული პრიტერიუმების ნებისმიერი კომბინაციის ჯამით. (ცვლილება 20.08.2021წ.)

7.7. მე-5 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი ქულების დაგროვების შემთხვევაში ინდივიდუალური პროფესორის საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს ორასზე მეტი ქულით. (ცვლილება 20.08.2021წ.)

მუხლი 8. შეფასების პროცესის ვადები და ინსტრუმენტი

8.1. აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით.

8.2. შეფასება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს. შეფასების პროცესის ადმინისტრირებას და მიღებული შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია (დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის მონაწილეობით), როგორც სასწავლო ისე კვლევით და სოციალური იმპაქტის სფეროში. შეფასების შედეგებს, ანგარიშის სახით ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია პრეზენტაციის სახით წარუდგენს ფაკულტეტის შიდა სკოლების/მიმართულებების/პროგრამის მიხედვით აკადემიურ პერსონალს, იღებს მათგან რეკომენდაციებს შედეგების გაუმჯობესებისა ან/და მდგრადობისათვის კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ასევე შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ეგზავნება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს.

ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ მიღებული შედეგები, ასევე საბჭოების მიერ გაზიარებული და ინიცირებული რეკომენდაციებით, ეგზავნება რექტორსა და უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს. კვლევითი საბჭოს მიერ შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვის, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დამატებითი რეკომენდაციების განსაზღვრის შემდეგ, კვლევითი საბჭოს გადაწყვეტილება და ასევე ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით გაერთიანებული ანგარიში იგზავნება აკადემიურ საბჭოსთან რეკომენდაციების და შემდგომი ქმედებების განხილვისა და დამტკიცების მიზნით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად შემდგომი ინტერვენციების განხორციელება ევალებათ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებსა და სტრუქტურულ ერთეულებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში. ადამიანური რესურსების სამსახურს ევალება თვითშეფასების პროცესის კოორდინირება და ვადების დაცვის მონიტორინგი. (ცვლილება 29.12.2023)

8.3. შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება უნიფიცირებული თვითშეფასების კითხვარები, რომლებიც შემუშავდება ამ წესით განსაზღვრული საქმიანობის შესაფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და შეფასების ინსტრუმენტი ადმინისტრირებული იქნება „არგუსის“ გამოყენებით. ამასთან სასწავლო კომპონენტის შეფასება (ჩატარებული საათების რაოდენობა) მოხდება პროფესორების დატვირთვის სქემის შესაბამისად.

8.4. შესაძლოა, დამატებით შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნას „ი-პრინტის“ მასალები, ან faculty.iliauni.edu.ge –ზე გამოქვეყნებული პროფესორების პროფაილები.

8.5. შეფასების პროცესი იწყება შესაბამისი აკადემიური სემესტრის დასრულების შემდეგ და სრულდება იმავე წლის ბოლოსთვის, ხოლო შედეგების გაცნობა და მართვა ხორციელდება ინდივიდუალურად, განსახორციელებელი ღონისძიების შინაარსიდან გამომდინარე.(ცვლილება 29.12.2023)

მუხლი 9. შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვა

9.1. შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სწავლებისა და კვლევის ხარისხი თითოეული პროფესორის თანამონაწილეობით, ხელი შეეწყოს ამ მხრივ განვითარების პროცესს და შედეგად წარმატებით განხორციელდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.

9.2. შედეგების გაცნობა გარდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების შიდა სკოლების/მიმართულებების/პროგრამის მიხედვით პრეზენტაციისა, ინდივიდუალურად მოხდება ფაკულტეტის/სკოლის დეკანის მიერ თითოეული შეფასებული აკადემიური პერსონალისთვის შეფასების ფორმისა და საბოლოო დაჯამებული ქულის გაცნობით სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის გზით.(ცვლილება 29.12.2023)

9.3. უნივერსიტეტი განიხილავს 200-ზე მეტი ქულის შემთხვევაში და ამ ქულების თვისებრივი შინაარსიდან გამომდინარე, უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით, პროფესორების მიმართ წახალისების ფორმების გამოყენებას მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით. წახალისების ფორმის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ზომა, რომლის მნიშვნელობაც და მიზანიც იქნება იმ შედეგების აღიარება, რომელიც მიღწეულ იქნა კონკრეტული პროფესორის მიერ.
წახალისების ფორმა შესაძლოა ატარებდეს სპეციალური ჯილდოს თუ (ფინანსური და არამატერიალური) სტატუსის მინიჭების ხასიათს, ითვალისწინებდეს მადლობის გამოცხადებას, კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებას და ა.შ ამასთან, დადებითი შედეგის დროში მდგრადობის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს აკადემიური პერსონალის

ხელფასის მატების საკითხი საშტატო ერთეულით განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური სახელფასო ზღვრების ფარგლებში. (ცვლილება 20.08.2021წ.)

9.4. შესრულების ნეგატიურ შედეგებზე (ორას ქულაზე ნაკლები შედეგი) რეაგირების ფორმის თვალსაზრისით, თუკი შესრულების შედეგები მუდმივად დაბალია, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, აღნიშნული შედეგი გაითვალისწინოს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის დროს, ამ პროფესორის ხელახალი ვადით არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. (ცვლილება 20.08.2021წ.)

9.5. სწავლების ან კვლევის სფეროში ყოველი ნეგატიური შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად ფაკულტეტის/სკოლის მიერ. აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გააუმჯობესოს მიღებული შედეგი, ხოლო უარყოფითი შედეგის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების პირობების გადახედვის საკითხი.

მუხლი 10. წესის ამოქმედების ვადა

10.1. ეს წესი მოქმედებს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან. 2018 წლის 1 ოქტომბრიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შეფასება და შესაბამისად, პირველი შესაფასებელი პერიოდის ათვლა დაიწყება ამ თარიღიდან ორ წლიანი პერიოდულობით. (ცვლილება 20.08.2021წ.)